

## სავალი ნაწილის ტექნიკოსი 040769

## პროფესიული სტანდარტი

**I. სფეროს აღწერა**

სავალი ნაწილის ტექნიკოსის საქმიანობის სფერო მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალი ნაწილის, ტრანსმისიისა და მართვის სისტემების მექანიზმების, კვანძებისა და ნაწილების ტექნიკურ მომსახურებას და შეკეთების სწორ ორგანიზებას. სამუშაოების კვალიფიციურად შესრულების შედეგად გაიზარდება ავტომობილის ხანგამძლეობა და რემონტებს შორის გარბენები, რაც საბოლოოდ გაზრდის ავტომობილის ექსპლუატაციის რენტაბელობას.

**II. დასაქმების სფერო**

მოცემული სტანდარტის მიხედვით სავალი ნაწილის ტექნიკოსის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის ავტომობილების სერვისცენტრები და ანალოგიური საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობას.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

არ აქვს.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიული განათლება მოიცავს პროფესიული განათლების ორ (III, IV) საფეხურს, თითოეული საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 50 კრედიტს, რომლის არანაკლებ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის არანაკლებ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. სავალი ნაწილის ტექნიკოსის კვალიფიკაციის აღმწერი

სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისას შრომის, ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტრო, ეკოლოგიური უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმები და წესები;</li> <li>• სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესები;</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები;</li> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების ტექნომსახურებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების, მოწყობილობების და სამარჯვების შერჩევისა და სარგებლობის წესები;</li> <li>• საზეინკლო სამუშაოთა სახეები;</li> <li>• ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების მექანიზმების და მათი დეტალების ნახაზების კითხვის წესები;</li> <li>• ლითონური და არალითონური მასალების კლასიფიკაცია და თვისებები;</li> <li>• საწვავი, საზეთ-საპოხი მასალების და ქიმიური ხსნარების კლასიფიკაცია, თვისებები, მათი გამოყენებისა და უტილიზაციის მეთოდები;</li> <li>• სხვადასხვა ქვეყნის და მარკის ავტომობილების ზოგადი მოწყობილობა და მოქმედების პრინციპები;</li> <li>• ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების მექანიზმების დანიშნულება, აგებულება, მუშაობის პრინციპები, უწყისივრობები და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეცვლაზე მოქმედი ფაქტორები;</li> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგია: ავტომობილიდან ცალკეული კვანძებისა და მექანიზმების მოხსნის წესები;</li> <li>• კვანძების და ნაწილების გარეცხვა-გასუფთავების მოწყობილობები, მეთოდები და საშუალებები;</li> <li>• დაზიანებებისა და უწყისივრობების აღმოჩენის (დიაგნოსტიკის) მეთოდები;</li> <li>• დაზიანებების და უწყისივრობების აღმოფხვრის ტექნოლოგიები, მეთოდები და წესები;</li> <li>• ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების (შეცვლა, აღდგენა) ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი პრინციპები;</li> </ul>
-------------------------------------	--	---

		<ul style="list-style-type: none"> <li>• შესრულებული სამუშაოს შემოწმების წესები და მეთოდები;</li> <li>• სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისას შრომის, ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტრო, ეკოლოგიური უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმებისა და წესების დაცვა;</li> <li>• სამუშაო ადგილის ორგანიზაცია;</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;</li> <li>• საჭირო იარაღების, სამარჯვების და მოწყობილობების გამოყენება;</li> <li>• საზეინკლო სამუშაოების შესრულება (ბურღვა, ქლიბვა, ჭრა, ხერხვა და სხვ.);</li> <li>• ლითონური და არალითონური მასალების კლასიფიკაციისა და თვისებების გამოყენება;</li> <li>• საწვავი, საზეთ-საპოხი მასალების და ქიმიური ხსნარების კლასიფიკაციის, თვისებების გამოყენება და მათი უტილიზაცია;</li> <li>• ტრანსმისის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების მექანიზმების და დეტალების ნახაზების კითხვა;</li> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიის გამოყენება: საჭის მექანიზმების და სხვადასხვა სახის სამუხრუჭე სისტემის დაზიანებებისა და უწყისივრობების დადგენა, დაზიანებული მექანიზმების, ნაწილების და კვანძების მოხსნა, გასუფთავება (მექანიკური და ქიმიური საშუალებებით), დეფექტების აღმოფხვრა, კომპლექტაცია, მიყენება და რეგულირება შესაბამისი საზეთ-საპოხი მასალების გამოყენებით;</li> <li>• ტრანსმისის მექანიზმების (გადაბმულობის ქუროს, გადაცემათა და სარიგებელი კოლოფების, სიჩქარეთა კოლოფის, კარდანული გადაცემის, მთავარი გადაცემის, დიფერენციალის და ნახევარღერძების) დაზიანებებისა და უწყისივრობების დადგენა, მოხსნა, გასუფთავება (მექანიკური და ქიმიური საშუალებებით), დეფექტების აღმოფხვრა, კომპლექტაცია, მიყენება და რეგულირება შესაბამისი საზეთ-საპოხი მასალების გამოყენებით;</li> <li>• სავალი ნაწილის (ჩარჩოს, ამორტიზატორების, რესორების, ზამბარების, თვლების დაკიდების) დაზიანებებისა და უწყისივრობების დადგენა, მოხსნა, გასუფთავება (მექანიკური და ქიმიური საშუალებებით), დეფექტების აღმოფხვრა, კომპლექტაცია, მიყენება და რეგულირება შესაბამისი საზეთ-საპოხი მასალების გამოყენებით;</li> <li>• შესრულებული სამუშაოს შემოწმება;</li> <li>• შესრულებული სამუშაოს შესახებ მარტივი ანგარიშის შედგენა;</li> <li>• სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების გამოყენება.</li> </ul>

<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	<b>შეუძლია:</b> განსხვავებულ სიტუაციებში სავალი ნაწილის, ტრანსმისიის და მართვის სისტემების ტექნოლოგიების დროს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	<b>შეუძლია:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული კომპეტენციის საკითხებზე მსჯელობა;</li> <li>• ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა;</li> <li>• ადაპტაცია კონკრეტულ სიტუაციასთან;</li> <li>• პროფესიული ინფორმაციის მოსაძიებლად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება კოლეგებთან და დამკვეთთან ურთიერთობისას;</li> <li>• მოძიებული ინფორმაციის გააზრება;</li> <li>• მარტივი კომუნიკაცია უცხო ენაზე;</li> <li>• პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება უცხო ენაზე.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	აქვს უნარი ავტონომიის სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიის მიხედვით გაიდრმოს ცოდნა ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ და აითვისოს ახალი მოწინავე ტექნოლოგიები.
<b>ღირებულებები</b>	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	იცავს პროფესიულ ეთიკას. უმკლავდება სტრესულ სიტუაციებს. აცნობიერებს სავალი ნაწილის ტექნიკოსის პრაქტიკული საქმიანობის შინაარსისა და ღირებულებების მნიშვნელობას.

სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის სხვადასხვა მოდელის და დანიშნულების ავტომობილების სავალი ნაწილის, ტრანსმისიის და მართვის სისტემების კონსტრუქციები და მათი შეკეთების თავისებურებანი, დეტალების ურთიერთშეცვლადობის, ჩასმების და დაშვების პროცედურები, იცის დეტალების და მარტივი კონსტრუქციული ელემენტების ესკიზების შედგენა. ნახაზების მიხედვით კვანძების და აგრეგატების აწყობა ტექნიკური პირობების დაცვით და მათი შემოწმება. იცნობს სამუშაოთა შესრულების ოპერაციულ სისტემებს, შრომის ორგანიზაციის და სამუშაო ადგილის რაციონალური მოწყობის პრინციპებს. აქვს მეწარმეობის და ზოგადი მენეჯმენტის ცოდნა.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ავტომობილის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის და მართვის სისტემების ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა; დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მემეგობით უწყისივრობების გამოვლენა და აღმოფხვრა. ავტომობილის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი დაზიანებებისა და უწყისივრობების აღმოფხვრა. მესამე საფეხურის სავალი ნაწილის ტექნიკოსთა ბრიგადის სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობა.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ტექნიკური მომსახურების და რემონტის პროცესში წარმოშობილი პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრისათვის საჭირო ოპერატიული ღონისძიებების დასახვის უნარი.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	აქვს უნარი ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შეუძლია სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. შეუძლია მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში; შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში	აქვს უნარი ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიის მიხედვით გაიღრმავოს ცოდნა ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ და აითვისოს ახალი მოწინავე ტექნოლოგიები.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	აცნობიერებს რა სავალი ნაწილის ტექნიკოსის საქმიანობის შინაარსსა და ღირებულებებს, შეუძლია შრომის სწორი ორგანიზება ცვალებადი სიტუაციების შესაბამისად და მოწინავე ტექნოლოგიების საფუძველზე ახორციელებს მას.

